



ჰიპოსტასური საწყისი ბერი სოფრონის (სახაროვი) შემოქმედებაში
გიორგი მანძარიდისი
(თესალონიკის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი)

პიროვნების (το πρόσωπο) ცნებას ცენტრალური ადგილი უკავია არა მხოლოდ თეოლოგიაში, არამედ ჩვენი ეპოქის ფართო აზროვნებაშიც. მაგრამ გაუგებრობა ამ ცნებასთან დაკავშირებით აშკარაა არა მხოლოდ ფართო წრეში, არამედ თეოლოგიაშიც, აგრეთვე ჩვენი დროის მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა შორისაც. ხშირად მართლმადიდებელი თეოლოგები საუბრობენ პიროვნებაზე, როგორც პერსონალისტურზე. თუმცა, წესი, რომლითაც ბერმა სოფრონმა (სახაროვი) იცხოვრა და წარმოაჩინა პიროვნების ჭეშმარიტება – არსებითად განსხვავებულია.

პიროვნების საწყისი (ή ἀρχή του προσώπου), ან ჰიპოსტასური საწყისი (ή ύποστατική ἀρχή) – როგორც ბერი სოფრონი ამჯობინებდა ეწოდებინა ეს საწყისი – განსაზღვრავს და ამოწმებს მთელ მის თეოლოგიასა და ცხოვრებას. და ჰიპოსტასური საწყისის ეს ცხოვრებისეული/გამოცდილებითი მხარე არის მისი პირველი განსაკუთრებულობაც. უფრო ზუსტად, შეიძლება თქმულიყო, რომ ეს მხარე წარმოადგენს მისი ავთენტურობის ფუნდამენტს, რადგან ბერ სოფრონს თავი არ მიუძღვნია ჰიპოსტასური საწყისის თეორიული ანალიზისთვის, არამედ აღწერა ის ემპირია (ἐμπειρία), რომელიც შეიძინა თავისი პიროვნული ცხოვრებით, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრმა.

ბერი სოფრონისათვის ყოფიერების (τὸ εἶναι) საფუძველი არის ჰიპოსტასური ღმერთი (ὕποστατικός Θεός). ღმერთის გამოცხადება, როგორც – „მე ვარ მეოფი“ (Εγώ εἰμι ὁ Ὄν) – ააშკარავებს, რომ ღვთაებაში (Θεότητα) ჰიპოსტასურ განზომილებას აქვს არსებითი მნიშვნელოვნება. ღმერთში არ არსებობს არაფერი ჰიპოსტასური საწყისის (ή ύποστατική ἀρχή) გარეშე, შესაბამისად – არც არსება (ή οὐσία). საღვთო ჰიპოსტასების საიდუმლოთა სიღრმე გამოუკვლეველია, და მათი მარადიულობაში თვითშემტკიცება წარმოადგენს დაუსაბამო ფაქტს. ყოვლიერების საწყისი/დასაბამი არის მამა. თუმცა არ არსებულა მომენტი, რომლის თანახმადაც მამას არ ჰყოლოდა ძე და თავისაგან არ გამოევიდინა სულიწმინდა¹.

ჰიპოსტასი არ არის შემოსაზღვრული საწყისი, არამედ უშინაგანესი, მთელი ყოფიერების დასაბამიერი და საბოლოო განზომილება: „მე ვარ ანი და ჰ, პირველი და უკანასკნელი, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისამპყრობელი“². მიუხედავად იმისა, რომ ჰიპოსტასი არის აბსოლუტური/მთელი ყოფიერების საწყისი, ამავდროულად არ მყოფობს მარტოდ. „ფორმალური ლოგიკისათვის“ ეს წარმოჩნდება, ჰიპოსტასის მთელი როლის, როგორც უარყოფითი და წინააღმდეგობრივი. თუმცა ეს არის სრულყოფილი სიყვარულის ღმერთი. სრულყოფილი სიყვარული – შენიშნავს ბერი სოფრონი – „არ იკეტება საკუთარ თავში, არამედ ცხოვრობს სხვებში, სხვა ჰიპოსტასებში. სამების თითოეული ჰიპოსტასი

¹ Αρχιμ. Σωφρονίου, Ὁψόμεθα τὸν Θεὸν καθὼς ἐστὶ, Ἑσσεξ Ἀγγλίας 1996, σ. 298-9.

² გამოცხ. 1, 8; 22, 13.

ფლობს – მოუკლებლად – ყოფიერების მთელ სავსებას. მაგრამ ჰიპოსტასი, როგორც ასეთი, ცხადდება სრულყოფილი სიყვარულის მოქმედებით, რომლის თვითება/თვისება არის სრულყოფილი დაცარიელებაც (κένωσις), თვითდამცრობა³.

ადამიანი უძლურია თავისი ძალებით განსაზღვროს, ან შეიმეცნოს ჰიპოსტასის ჭეშმარიტება. ეს (ე. ი., ჰიპოსტასის ჭეშმარიტება, ლ. ხ.) ეგზისტენციალურად შეიმეცნება ადამიანებისადმი ღვთის გამოცხადების საზომით. „არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამად ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების“⁴. სრულყოფილი ჰიპოსტასი არის ღმერთი, რომელიც მარტოდ და ჭეშმარიტად ცხოვრობს. ამ ცოცხალი საწყისის გარეშე არ არსებობს არაფერი.

ქრისტიანული მონოთეიზმი არ იგივედება ისლამის ერთღმერთიანობასთან (ენოთეიზმი/ενοθεϊσμός). მარტივი, ერთარსი (ἑμοσιονία) და განუყოფელი სამება აცხადებს განსაკუთრებულ თანმიმდევრობის ერთიანობას. ერთდროულად შემოაქვს აბსოლუტური იგივეობა და აბსოლუტური განსხვავება. სამების დოგმა ღმერთში განსაზღვრავს სამ ცნებას: ჰიპოსტასს (ἢ Ὑπόστασις), ან პიროვნებას (το Πρόσωπον), არსებას (ἢ Οὐσία), ან ბუნებას (ἢ Φύσις) და ენერგიას (ἢ Ἐνέργεια). მაგრამ, პარალელურად ამოწმებს, ერთი მხრივ, ჰიპოსტასისა და არსების, და მეორე მხრივ – არსებისა და ენერგიის იგივეობას. და ეს იგივეობა იმგვარი ბუნებისაა, რომ ყოველი ცნება ამ სამთაგან რჩება, მინიმუმ აღუყვანებელი სხვა ორში⁵.

პირველი ანტინომია/წინააღმდეგობა, რომელიც მოიცავს სამების დოგმას, არის ჰიპოსტასისა და არსების აბსოლუტური იგივეობა. ერთიანი სამება ღმერთის თითოეული ჰიპოსტასი აბსოლუტურად იგივედება (ταυτίκεται) საღვთო არსთან (θεία οὐσία). მაშინ როცა, ისლამის ერთღმერთიანობაში, და ასევე ძველ აღთქმაშიც, არსებისა და ჰიპოსტასის იგივეობა შეიძლებოდა მარტივად გაგებულიყო, ქრისტიანობაში ეს იგივეობა წარმოჩნდება, როგორც უკიდურესი ანტინომია, რადგან ჰიპოსტასის საწყისი – მიზეზი სამების ერთიანობისა, შეუძლებელია აღყვანებულიყო არსში (ἢ οὐσία).

პიროვნული თვითშეგნებისა და საღვთო არსების ერთიანობა – აბსოლუტურია. როგორც დავახასიათე – აღნიშნავს ბერი სოფრონი – „ჰიპოსტასის გარეშე არ არსებობს არსება, მაგრამ არც ჰიპოსტასი არსებობს უარსებოდ (ἀνευ οὐσίας). არსება არ არის ონტოლოგიურად წინარედ, არც ჰიპოსტასის უმინაგანესობა (βασίτερά). ამასთანავე, არც ჰიპოსტასია არსების წინყოფა“⁶. წმინდა გრიგოლ პალამას ცნობილი მონაჯვეთის მისწრაფება – „მყოფობა არ წარმოდინარეობს არსებისგან, არამედ არსება – მყოფობისგან“ (οὐ γὰρ ἐκ τῆς οὐσίας ὁ ᾧν, ἀλλ ἐκ τοῦ ὄντος ἢ οὐσία/ ὁ ᾧν δὲν περιέρχεται ἀπὸ τῆς οὐσίας, ἀλλ ἀπὸ τοῦ ὄν ἢ οὐσία)⁷ – ჰიპოსტასის უპირატესობისათვის არსების წინაშე, თეოლოგიურად უსაფუძვლოა. ეს უპირატესობა ამტკიცებს სამება ღმერთზე ადამიანური აზროვნების კატეგორიების გამოვლენას. ადამიანურ აზროვნებას არ ძალუძს გულისხმაჰყოს პიროვნული მყოფობა (ὄν) გარკვეული ფორმირების გარეშე. არ ძალუძს მოიხელთოს არსება (οὐσία), როგორც აბსოლუტური რეალურობა, პიროვნების თვითმეტკიცების რაიმე ხერხით განსაზღვრის გარეშე. თუმცა ღმერთში ჰიპოსტასი და არსება ერთია⁸.

³ Ὁψόμεθα τὸν Θεὸν καθὼς ἐστι, σ, 406.

⁴ მთ. 11, 27.

⁵ Αρχιμ. Σωφρονίου, Ἀσκησις καὶ θεωρία, Ἑσσεξ Ἀγγλίας 1996, σ. 129 κ.ε.

⁶ Ἀσκησις καὶ θεωρία, σ. 130.

⁷ Ὑπὲρ τῶν ἱερῶς ἡσχαζόντων 3, 212, Γρηγορίου τοῦ Παλαμᾶ Συγγράμματα, ἐπιμ. Π. Χρήστου, τόμ. 1, Θεσσαλονίκη 1962, σ. 666.

⁸ Ἀσκησις καὶ θεωρία, σ. 126 καὶ 130.



ბერი სოფრონი განაგრძობს გაბედულ და ორიგინალურ გადმოცემას, შენიშნავს რომ – „ჰიპოსტასი არის ერთი პოლუსი, ერთი აზრი/გაგება მარტივისა და მყოფის (ὄντος), რომლის მეორე აზრი არის არსება/უსია (οὐσία)“⁹. სამებობა (Ἡ Τριάδικότητα) ადასტურებს, რომ ღვთაებაში თითოეული ჰიპოსტასი ცხოვრობს სხვა ჰიპოსტასებთან ზიარებაში. თითოეული ჰიპოსტასი არის სრულყოფილი ღმერთი, რადგან ფლობს ღვთაების მთელ სისავსეს, და პოტენციურად (δυναμικῶς) თანაბარია სამების ერთიანობის მიმართ. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი ჰიპოსტასი აბსოლუტურად თანაბარია წმინდა სამების სხვა ორი ჰიპოსტასის მიმართ, პარალელურად ეს აბსოლუტური იგივეობა სრულებით არ ამცრობს თითოეული ჰიპოსტასის ერთადერთობას/განუმეორებლობას (μοναδικότητα)¹⁰.

გარდა ამ იგივეობის ანტინომიისა და ჰიპოსტასსა და არსებას შორის განსხვავებისა, სამების დოგმაში არსებობს სხვა ანტინომიებიც, როგორც ეს ცხადდება აბსოლუტური იგივეობითა და განსხვავებით არსებასა და ენერგიას შორის, ან უქმნელ საღვთო ენერგიასა და ქმნილ ადამიანურ ბუნებას შორის. ამგვარად, ღმერთის არსება და ენერგია არ აღირევა, არამედ აღნიშნავენ ორ სრულებით განსხვავებულ ცნებას, რადგან ღმერთის არსება აბსოლუტურად ტრანსცენდენტურ ურთიერთობაშია სამყაროსთან, მაშინ, როცა ენერგია – საცნაური და მონაწილეა. ამასთანავე, ღმერთის უქმნელი ენერგიის გაერთიანება ქმნილ ადამიანურ ბუნებასთან, არ ცვლის მას (ადამიანურ ბუნებას, ლ. ხ.) საღვთო ბუნებით, რადგან ქრისტეც – ქალკედონური კრების დოგმით – არის ერთი ჰიპოსტასი „ორ ბუნებაში“ (ἐν ἑνὶ φύσει)¹¹.

ეკლესია, როგორც მყოფობა და ხატი წმინდისა სამებისა, აგრეთვე წარმოაჩენს სამების იგივეობისა და სხვაობის ანტინომიას. როგორც ღვთაებაში განსხვავდება სამი ცნება – პიროვნება (τὸ Πρόσωπο), არსება (ἢ Οὐσία) ან ბუნება (ἢ Φύση) და ენერგია (ἢ Ενέργεια), ამგვარად, ეკლესიაშიც ვხედავთ – პიროვნებას, ბუნებას და მოქმედებებს (πράξεις), რომელნიც ადამიანის ესქატური (ἔσχατη) სრულყოფის/განსრულების თანახმად ჯერ-არს გაიგივდეს (ταυτισθῆναι)¹². როგორც წმინდა სამებაში ყოველი ჰიპოსტასი არის ღვთაების აბსოლუტური სისავსის მატარებელი, ასევე ეკლესიაშიც თითოეული ჰიპოსტასი მოწოდებულია, რომ გახდეს მთელი ღმერთკაცობრივი (Θεανδρικῆς) სისავსის მატარებელი.

ადამიანი, როგორც ღმერთის „ხატისაებრი“ (κατ' εἰκόνα) ქმნილება, არის პოტენციური ჰიპოსტასი. მისი ჰიპოსტასის საწყისი სულიერია (πνευματική); არის – „დაფარული იგი გულისა კაცი, უხრწნელითა მით მშვიდისა მის და მყუდროისა სულისა წესითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა ფრიად პატიოსან“¹³. ეკლესიაში ადამიანი მოწოდებულია მაღლით გახდეს ის, რაც

⁹ Ἀσκησις και θεωρία, σ. 131.

¹⁰ Ὁ.π.

¹¹ Ὁ.π., σ. 133.

¹² Βλ. ὁ. π., σ. 159.

¹³ „გულის დაფარული ადამიანი, სულის სიმშვიდისა და მყუდროების უხრწნელებით/უკვდავებით გამშვენებული, რომელიც ღვთის წინაშე არის უძვირფასესი“ (1პეტ. 3: 4).

ღმერთი არის თავისი არსებით (Ὀὐσία). ქმნილი ადამიანური ბუნება ქრისტეს პიროვნებაში განიღმრთო (θεωήσθη) „აბსოლუტურ სრულყოფილებამდე“ (ἐως ἀκράτος τελειότητος). და ეკლესიას, როგორც ქრისტეს სხეულს, ადამიანი შეყავს განღმრთობის იმავე ხარისხში¹⁴. განსხვავება ღმერთსა და ადამიანს შორის მარადის იქნება, მხოლოდ, როგორც არსების მიმართ (Ὀὐσία), მაგრამ არა, როგორც საღვთო ცხოვრების დიდებისა და შინაარსისადმი. „როდესაც იმცრობა/უფასურდება ქრისტიანული ანთროპოლოგიის ეს სიდიადე, ეცემა ქრისტიანული ცხოვრებაც. აქ დამცრობა/გაუფასურება არ არის თავმდაბლობის დასტური, არამედ ცდომილება/ხიბლი (πλάνη) და ცოდვა, რომელიც აბრკოლებს ჭეშმარიტი სინანულის მოახლებას; „საკუთარ თავთა მიჩნევით, როგორც ქრისტეს უდარეს არსებებად (ὄντα κατώτερα)–წერს ბერი სოფრონი – „ადამიანები სინამდვილეში უგულვებელყოფენ, რომ გაყვნენ მას (ქრისტეს, ლ. ხ.) გოლგოთისაკენ“¹⁵.

ქრისტე ასაჩინოებს ავთენტურ ადამიანს, რომელშიც მკვიდრობს „ღვთაებისა და ადამიანის მთელი სავსება“¹⁶. როგორც ღმერთში, ასევე ადამიანში, ჰიპოსტასი არის საწყისი, რომელიც იწყნარებს/იღებს უსასრულოს (ἀπειρο). ადამიანური ჰიპოსტასი არ მჟღავნდება წინააღმდეგობით/შეპირისპირებით მისადმი, რაც – „არ არის მე“ (δὲν εἶναι ἐγώ). ფლობს, როგორც არსებით ნიშანს – სიყვარულს, იკრავს მთელ სამყაროს და შინაგანად წარმოადგენს ყოვლიერების ერთიანობას“¹⁷. ამგვარად, სრულყოფილი ადამიანური ჰიპოსტასი არის საღვთო ჰიპოსტასის პირველსახისებრი (κατὰ τὸ πρότυπο) – პოტენციურად თანასწორი მრავალჰიპოსტასიანი კაცობრიობის (μυριοπύοστατη ἀνθρώπινη) მიმართ, აქაც, სრული დაკნინების გარეშე მისი (ჰიპოსტასის, ლ. ხ.) ერთადერთობა/განუმეორებლობა. ჰიპოსტასის საყოველთაობა არ რეალიზდება „მე/ეგო“-ს (ἐγώ) აღმოფხვრით/დარღვევით, არამედ მისი დაცარიელებით/დამდაბლებითა (κένωση) და ყოვლიერების ჩაკვრით. თუმცა, დღევანდელ სამყაროში ადამიანებს იშვიათად ეძლევა ჰიპოსტასის გამოცდილება, და ეს ხდება (ე. ი., ჰიპოსტასის გამოცდილება, ცოდნა, ლ. ხ.), როდესაც მიაღწევს (ადამიანი) რომ ილოცოს მთელი სამყაროსადმი, როგორც საკუთარი თავისადმი, მცნების თანახმად: „შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“¹⁸.

ლოცვით – აღიარებს ბერი სოფრონი – „ეგზომ განივრცო (ἐπλατύνετο) ჩემი არსება/მყოფობა (τὸ εἶναι), რომ სულს შეეხო ჯოჯობეთისაც და სასუფევლისაც“. ლოცვა არის „დაუსრულებელი შემოქმედება“ (ἀτελεύτητος δημιουργία)¹⁹. არის ჰიპოსტასური საწყისის დაუსრულებელი საქმიანობა. მას ადამიანი მიჰყავს თავის არქექტიპთან. თავის შიგნით უცხადებს მამის ძის ხატს – ქრისტეს. და მისი ხატის ეს გამოცხადება ალაგზნებს მსგავსის (ე. ი., ადამიანის, ლ. ხ.) მისწრაფებას ქრისტესადმი. ადამიანი საკვირველი სიმძაფრით განიცდის (πάσχει), რაც მას წარმართავს საღვთო უსასრულობაში (ἀπειρότητα). უკიდურესად ამცრობს თავის ცნობიერებაში/შეგნებაში, და მაშინ, მოიჩქარის სახარებისეული ეპიზოდის მამა – ღმერთი, რომ მიირქვას იგი²⁰.

სპეციალურად საიტისთვის ბერძნულიდან თარგმნა ლევან ხატიაშვილმა,

¹⁴ Βλ. Ἀσκησις και θεωρία, σ. 138-9.

¹⁵ Ὁ. π., σ. 155-6.

¹⁶ Ὁψόμεθα τὸν Θεὸν καθὼς ἐστι, σ. 404 και 411.

¹⁷ Ὁψόμεθα τὸν Θεὸν καθὼς ἐστι, σ. 303-4.

¹⁸ მათ. 22: 39.

¹⁹ Περὶ προσευχῆς, σ. 15.

²⁰ Ὁψόμεθα τὸν Θεὸν καθὼς ἐστι, σ. 72; შდრ. ლკ. 15: 20.

წმინდა გრიგოლ პალამას
სახელობის მართლმადიდებლური
ღვთისმეტყველების ცენტრი



St. Gregory palama's Orthodox Christian
Theology
Centre

წყარო: Ἰμάτια Φωτός Ἀρρήτου – διεπιστημονική προσέγγιση τοῦ προσώπου, Ἐπιμέλεια:
Λάμπρος Χρ. Σιάσος, Θεσσαλονίκη 2002.

წყარო: www.palamacentree.com